

## ისტორია II ტური

*ინსტრუქცია დავალებებისთვის 1-5: თითოეულ კითხვაზე მოცემულია ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. შემოხაზეთ სწორი პასუხი. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.*

1. დაასრულეთ ცნობილი ძველბერძნული ხატოვანი გამოთქმა: ოლიმპიური . . .

- I. სიმშვიდე
- II. სისწრაფე
- III. ძლიერება
- IV. გონიერება

2. რომელმა ცნობილმა ქართველმა საეკლესიო მოღვაწემ დაუსაბუთა ანტიოქიის პატრიარქს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის კანონიერება?

- I. გიორგი მთაწმინდელმა
- II. ექვთიმე მთაწმინდელმა
- III. იოანე პეტრიწმა
- IV. არსენ იყალთოელმა

3. რომელი ევროპელი მონარქი არ მონაწილეობდა III ჯვაროსნულ ლაშქრობაში?

- I. ფილიპე ოგიუსტი
- II. რიჩარდ ლომგული
- III. ალფრედ დიდი
- IV. ფრიდრიხ ბარბაროსა

4. სპარსეთის რომელ ქალაქში აწამეს ქეთევან დედოფალი შაჰის ბრძანებით?

- I. ისპაჰანში
- II. შირაზში
- III. ყაზვინში
- IV. თეირანში

5. მეორე მსოფლიო ომის დროს რომელი ხალხის გამათავისუფლებელ მოძრაობას წარმოადგენდა არმია კრაიოვა?

- I. ჩეხების
- II. სერბების
- III. პოლონელების
- IV. ხორვატების

*ინსტრუქცია დავალებებისთვის 6-7: ქრონოლოგიური პრინციპით დაალაგეთ მოცემული ინფორმაცია. პასუხები დააფიქსირეთ უჯრებში. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.*

6. ქრონოლოგიური თანმიმდევრობით დაალაგეთ საქართველოს ეკლესიის წმინდანები მათი მოწამეობრივი აღსასრულის მიხედვით:

- 1. კონსტანტი კახი
- 2. აბო ტფილელი
- 3. შუშანიკ დედოფალი
- 4. ევსტათი მცხეთელი

7. ქრონოლოგიური თანმიმდევრობით დაალაგეთ აშშ-ის პრეზიდენტები საპრეზიდენტო არჩევნებში მათი პირველი გამარჯვების დროის მიხედვით:

- 1. ჯიმი კარტერი
- 2. რონალდ რეიგანი
- 3. რიჩარდ ნიქსონი
- 4. ბილ კლინტონი

*ინსტრუქცია დავალებისთვის 8: ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი ტექსტი და შეასრულეთ მოცემული დავალება. თითოეული არგუმენტის მაქსიმალური შეფასებაა 1 ქულა.*

### **დავალება 8. ლუი XVI-ის სიკვდილით დასჯა**




საფრანგეთის დიდი რევოლუციის პერიოდში, 1792 წლის შემოდგომაზე საფრანგეთის მონარქი ლუი XVI სამშობლოს დასაბრუნებლად დაადანაშაულეს და მეფე გაასამართლეს. რევოლუციური მოძრაობის ერთი ფრთა (მონტანიარები) მეფის სიკვდილით დასჯას მოითხოვდა, ხოლო მეორენი (ჟირონდისტები) - თავშეკავებულ პოზიციას აფიქსირებდნენ და მის სიკვდილით დასჯას არ ეთანხმებოდნენ.

(2) 8.1. მოიყვანეთ ორი კონკრეტული არგუმენტი, რომლითაც მეფის სიკვდილით დასჯის მომხრე თავისი პოზიციას დაიცავდა.

(2) 8.2. მოიყვანეთ ორი კონკრეტული არგუმენტი, რომლითაც მეფის სიკვდილით დასჯის მოწინააღმდეგე თავისი პოზიციას დაიცავდა.

*ინსტრუქცია დავალებებისთვის 9-10: ერთმანეთს შეუსაბამეთ ორ სვეტში მოცემული ინფორმაცია. თითოეული დავალების მაქსიმალური შეფასებაა 4 ქულა.*

9. დაადგინეთ შესაბამისობა ისტორიული ღირშესანიშნაობის ნაშთებსა და ქალაქის სახელწოდებას შორის, სადაც ის მდებარეობდა.

|   |   |   |           |
|---|---|---|-----------|
| A |   | 1 | ბაბილონი  |
| B |  | 2 | პერსეპოლი |
| C |  | 3 | ტროა      |

|   |   |  |   |          |
|---|---|--|---|----------|
| D |  |  | 4 | ეკბატანა |
|   |   |  | 5 | მიკენი   |
|   |   |  | 6 | პალმირა  |

10. დაადგინეთ შესაბამისობა ბერძნული მითოლოგიიდან დამკვიდრებულ გამოთქმასა და მის გადატანით მნიშვნელობას შორის:

|   | გამოთქმა       |   | გადატანითი მნიშვნელობა    |
|---|----------------|---|---------------------------|
| A | აქილევის ქუსლი | 1 | დაუსრულებელი ტანჯვა       |
| B | პანდორას ყუთი  | 2 | სიუხვის სიმბოლო           |
| C | ამალთეას რქა   | 3 | განხეთქილების მიზეზი      |
| D | სიზიფეს შრომა  | 4 | უბედურებათა წყარო         |
|   |                | 5 | სუსტი ადგილი              |
|   |                | 6 | მნელადმიღწეული გამარჯვება |

*ინსტრუქცია დავალებისთვის 11: ყურადღებით დააკვირდით ფოტოს და უპასუხეთ შეკითხვებს. დავალების მაქსიმალური შეფასებაა 3 ქულა.*

11.



(1) 11.1. რომელი თანამედროვე სახელმწიფოს ტერიტორიაზე აღმოაჩინეს ილუსტრაციაზე ასახული ქანდაკებები?

(2) 11.2. რა დანიშნულების ნაგებობაში აღმოჩნდა ილუსტრაციაზე ასახული ქანდაკებები და რა ფუნქცია ეკისრებოდა მათ მაშინდელი რელიგიური წარმოდგენების მიხედვით?

*ინსტრუქცია დავალებისთვის 12: ყურადღებით წაკითხეთ დოკუმენტი და უპასუხეთ შეკითხვებს. დავალების მაქსიმალური შეფასებაა 18 ქულა.*

## **12. ყურადღებით წაკითხეთ წყარო და უპასუხეთ დასმულ კითხვებს.**

ასლი საიდუმლო მოხსენებისა დარიალის სანაპირო რაზმის უფროსისა, სანაპირო ჯარის უფროსისადმი. 3 მარტი № 54.

დამატებით ჩემი ტელეფონოგრამისა 25 და 28 თებერვლის თარიღით, №43 და 50 მოგახსენებთ დაზვერვის ცნობებს, ყაზბეგის განყოფილების რაიონისას.

1-ლ თებერვალს აგენტურული ცნობებით, თერგის ოლქს, ბოლშევიკური მთავრობის მოსასპობად, გარს შემოერთყა გენერალ დენიკინის ჯარის ნაწილი გენერალ შკუროს ხელმძღვანელობით. მათ ადვილად აიღეს ალაგირი, სადაც უმეტესი ნაწილი მცხოვრებლებისა არიან ქართველები. ადვილად აიღეს აგრეთვე ვაკე ინგუშეთი, ბაზარ ქინის ოლქი და დაუახლოვდნენ ქალაქ ვლადიკავკავს. ბოლშევიკებს მიემხრნენ ინგუშები და 10000 კაცამდე გამოიყვანეს ქალაქის დასაცავად. ინგუშების აქტიური გამოსვლის მიზეზი ის იყო, რომ 1918 წელს როდესაც ინგუშებმა ხელში ჩაიგდეს ვლადიკავკავი, მათ დაარბიეს, როგორც ქალაქი, აგრეთვე კაზაკების მდიდარი სტანიცები, დახოცეს კაზაკები ოჯახებითურთ, მიითვისეს მათი სიმდიდრე და ეხლა ეშინოდათ კაზაკებს მათთვის სამაგიერო არ გადაეხადათ. ცხრა დღე იყო ომი დენიკინის ჯარსა და ბოლშევიკ-ინგუშებს შორის. 10 თებერვალს დენიკინის ჯარმა აიღო ვლადიკავკავი. ინგუშები გაიფანტნენ მთებში და ბოლშევიკები კი მოაწვნენ საქართველოს საზღვრებს.

რადგანაც ჩვენ გვქონდა აგენტურული ცნობები ბოლშევიკების ჩვენი საზღვრებისაკენ წამოსვლის შესახებ, ჩვენის მხრით მიღებულ იქნა ზომები მათ შესახვედრად. 12 თებერვალს სადამოზედ ჩვენ საზღვარზე გამოჩნდა ბოლშევიკების მზვერავი ჯარი, რომელმაც ჩვენი მხრიდან სროლის შემდეგ დაიწია უკან. ამავე დღეს 20 საათზე საზღვარს მოადგა ავტომობილი ბოლშევიკების პარლამენტორებით, რომლებმაც ითხოვეს გამოგვეშვა სამშობლოში ქართველები მაინც. ამის შესახებ ყაზბეგის განყოფილების უფროსის, პოლკოვნიკ წერეთლის მიერ პირდაპირი მავთულით მოხსენდა რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს, რომელმაც ნება დართო მარტო ქართველებს, იარაღის ჩამორთმევით. პარლამენტორები დაბრუნდნენ უკან და როგორც შემდეგ შევიტყვეთ, მთავრობის გადაწყვეტილებას ბოლშევიკებში დიდი უკმაყოფილება გამოუწვევია და გადაწყვიტათ შეერთებული ძალით, ქართველი

ბოლშევიკების მონაწილეობით, ძალით გამოერღვიათ საზღვარი და გამომგზავრებულიყვნენ საქართველოსკენ. 13 თებერვალს იმის მაგიერ, რომ ქართველი ბოლშევიკები მოსულიყვნენ საზღვართან, ჩაებარებინათ იარაღი და გამოგვეშვა საქართველოში, დილის 8 საათზე დაიწყეს სროლა ზარბაზნებით და ტყვიის მფრქვევლებით. ჩვენს და ბოლშევიკებს შორის ორი დღის ომის შემდეგ, ჩვენგან მიტანილი იერიშით ბოლშევიკებმა დაჰყარეს იარაღი, რომლის შემდგომ გამოშვებული იყვნენ საქართველოსკენ.

ბოლშევიკების გამოშვების შემდეგ, 14 თებერვალს საქართველოს საზღვარს მოადგა გენერალ დენიკინის მზვერავი ჯარი, იმავე დღეს მოვიდა დარიალის ხიდთან გენერალ შკუროსაგან გამოგზავნილი დელეგაცია პოლკოვნიკ დანელიჩენკოს თავმჯდომარეობით. მათ აინტერესებდათ ბოლშევიკების ლიკვიდაცია და როდესაც დაწვრილებით გაიგეს საქმის დაბოლოება, კმაყოფილები დარჩნენ და იმავე დღეს დაბრუნდნენ ვლადიკავკავს. 18 თებერვლამდე ჩვენი საზღვრიდან საქართველოს სამხედრო გზას ვლადიკავკავამდე იცავდნენ კაზაკები. შემდეგ კი გზის დაცვა გადავიდა ინგუშების ხელში, რომლებმაც თერგის და დაღესტნის ოლქების გენერალ-გუბერნატორ გენერალ ლიახოვის განკარგულებით გამოიყვანეს სამი ცხენოსანი ასეული. გენერალ დენიკინის ჯარს და ჩვენს შორის არ შეიძლება ვსთქვა, რომ კარგი განწყობილება არის. დენიკინის მთავრობა საქართველოს რესპუბლიკას უცქერის როგორც თავის მტერს, მაგრამ რადგანაც მათ ჩრდილოეთიდან ბოლშევიკები აწვებიან, ჯერ-ჯერობით საქართველოსთვის არ სცალიან და მთელს ძალას აგზავნის დონის როსტოვისაკენ. არც ინგუშებს უცქერიან კარგი თვალთ. ძლიერ სასტიკად მოჰკიდეს მათ ხელი და ამის გარდა მოახდინეს განკარგულება, გამოიყვანონ მათ სამი ცხენოსანი პოლკი, რომლებსაც დანიშნულება აქვს როსტოვისკენ გამგზავრების, ბოლშევიკების საწინააღმდეგოდ.

პოლკოვნიკი სრესელი, რაზმის ადიუტანტი პორუჩიკი ანდრონიკაშვილი.



**კითხვები:**

- (1) 12.1. რომელ წელს არის დაწერილი ეს მოხსენებითი ბარათი? აუცილებლად მოიტანეთ არგუმენტი საკუთარი მოსაზრების დასასაბუთებლად.
- (2) 12.2. რა სახელით შევიდა ისტორიაში ის სამხედრო შენაერთები, რომლებსაც დოკუმენტის შექმნის დროს გენერალი დენიკინი ხელმძღვანელობდა და რა იყო მათი საბოლოო მიზანი?
- (2) 12.3. დოკუმენტის მიხედვით, ვინ იცავდა ქალაქ ვლადიკავკავს დენიკინის ჯარებისგან და კონკრეტულად რა მოიმოქმედეს მათ დამარცხების შემდეგ?
- (2) 12.4. დოკუმენტის მიხედვით, საზღვართან მომხდარმა რა კონკრეტულმა ფაქტმა აიძულა ბოლშევიკები, „პარლამენტორები“ გამოეგზავნათ და რას ითხოვდნენ ისინი?
- (2)12.5. დოკუმენტის მიხედვით, კონკრეტულად რომელი თანამდებობის პირს ეცნობა საქართველოს საზღვართან შექმნილი ვითარების შესახებ და ვის ეკავა ამ დროს ეს თანამდებობა?
- (2) 12.6. დოკუმენტის მიხედვით, რას ითვალისწინებდა საქართველოს ხელისუფლების მიერ ბოლშევიკების მიმართ წაყენებული პირობა და თქვენი აზრით, რატომ იყო ეს პირობა საჭირო? აუცილებლად მოიტანეთ არგუმენტი საკუთარი მოსაზრების განსამტკიცებლად.
- (2) 12.7. დოკუმენტის მიხედვით, რა მოიმოქმედეს ბოლშევიკებმა საქართველოს ხელისუფლების მოთხოვნის საპასუხოდ და კონკრეტულად როგორ დამთავრდა მათი ეს მოქმედება?
- (1) 12.8. დოკუმენტის მიხედვით, რა საკითხზე შედგა ქართველ მესაზღვრეებსა და გენერალ დენიკინის წარმომადგენელთა პირველი შეხვედრა?
- (1) 12.9. რატომ თვლიდა გენერალი დენიკინი დამოუკიდებელ საქართველოს მტრად?
- (2) 12.10. იმავე პერიოდში ყველაზე მძაფრად საქართველოს რომელ მხარეში და რაში გამოვლინდა გენერალ დენიკინის მტრული დამოკიდებულება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისადმი?
- (1) 12.11. თქვენი აზრით, უნდა ჩარეულიყო თუ არა ქართული მხარე ჩრდილოეთ კავკასიაში მიმდინარე მოვლენებში? აუცილებლად მოიტანეთ არგუმენტი საკუთარი მოსაზრების განსამტკიცებლად.

ისტორია  
პასუხები  
II ტური  
სულ 40 ქულა

1-7 დავალებები 1 ქულით ფასდება

1. I
2. I
3. III
4. II
5. III

6. 3 4 2 1

7. 3 1 2 4

დავალება 8 - სულ 4 ქულა

8.1. ნებისმიერი ლოგიკური არგუმენტი, რომელიც არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას, ფასდება 1 ქულით; სულ 2 ქულა

8.2. ნებისმიერი ლოგიკური არგუმენტი, რომელიც არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას, ფასდება 1 ქულით; სულ 2 ქულა

დავალება 9 - სულ 4 ქულა

A2 – 1 ქულა

B6 – 1 ქულა

C5 – 1 ქულა

D1 – 1 ქულა

დავალება 10 - სულ 4 ქულა

A5 – 1 ქულა

B4 – 1 ქულა

C2 – 1 ქულა

D1 – 1 ქულა

## დავალება 11 - სულ 3 ქულა

11.1. ჩინეთის (ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა) სახელწოდებაში შეცდომა არ უნდა იყოს - 1 ქულა

11.2. სამარხი - 1 ქულა; გარდაცვლილი იმპერატორის დაცვა საიქიოში//დაცვა საიქიოში - 1 ქულა- 1 ქულა; სულ 2 ქულა

## დავალება 12. - სულ 18 ქულა

|       |  |
|-------|--|
| 12.1. | 1919. დენიკინი ძლიერი იყო 1919 წელს // წყაროში აღწერილი მოვლენები (1918 წლიდან) დროის მოკლე ინტერვალში ვითარდება - 1 ქულა                                |
| 12.2. | მოხალისეთა არმია // თეთრგვარდიელები - 1 ქულა<br>ბოლშევიკების დამარცხება // იმპერიის აღდგენა // მონარქიის აღდგენა - 1 ქულა<br>სულ 2 ქულა                  |
| 12.3. | ინგუშები და ბოლშევიკები -1 ქულა<br>ინგუშები-მთებში გაიფანტნენ; ბოლშევიკები მოაწვნენ საქართველოს საზღვრებს - 1 ქულა<br>სულ 2 ქულა                         |
| 12.4. | ბოლშევიკები დამარცხდნენ საქართველოს საზღვართან // ბოლშევიკები ძალით ვერ შემოვიდნენ - 1 ქულა<br>ქართველების შემოშვებას საქართველოში -1 ქულა<br>სულ 2 ქულა |
| 12.5. | მთავრობის თავმჯდომარეს -1 ქულა<br>ნოე ჟორდანიას -1 ქულა<br>სულ 2 ქულა  |
| 12.6. | მხოლოდ იარღაყრილი ქართველების შემოშვებას -1 ქულა<br>ლოგიკური მოსაზრება, რომელიც არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას - 1 ქულა<br>სულ 2 ქულა                     |
| 12.7. | ძალით სცადეს შემოსვლა -1 ქულა<br>დამარცხდნენ და იარაღი დაყარეს -1 ქულა   |

|        |  |
|--------|--|
|        | <b>სულ 2 ქულა</b>  |
| 12.8.  | ბოლშევიკების ბედზე // საქართველოს საზღვართან მიმდინარე პროცესზე - <b>1 ქულა</b>                  |
| 12.9.  | რუსეთის იმპერიის აღდგენა უნდოდა - <b>1 ქულა</b>  |
| 12.10. | აფხაზეთში - <b>1 ქულა</b><br>საომარ მოქმედებებში // შეჭრაში - <b>1 ქულა</b><br><b>სულ 2 ქულა</b> |
| 12.11. | ლოგიკური მოსაზრება, რომელიც არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას - <b>1 ქულა</b>                        |